

Maia Tsertsvadze

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

Narrative and Reflection on the Events of March 9, 1956 in Modern Georgian Non-fiction

Understandably, in literary texts of Georgia in the times of the totalitarian Soviet Union, it was impossible to reflect on a number of painful issues the Georgian people had to experience. The events of March 9, 1956 was among them.

From the end of the 1980s, following the period of breaking the totalitarian regime this tabooed topic began to be reflected in the literature.

The presented paper is dedicated to the description, peculiarities and multilateral significance of this kind of narrative documentary prose of the 21st century-the texts of the authors – M. Zaalishvili, K. Imedashvili, D. Kiziria.

Key words: Events of March 9, 1956 in Georgia, Modern Georgian Non-Fiction, documentary prose of the 21st century, Narrative and Reflection on the Events of March 9, 1956 .

მაია ცერცვაძე

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1956 წლის 9 მარტის მოვლენების ნარატივი და რეფლექსია თანამედროვე ქართულ ნონფიქშენში

როგორც ცნობილია, 1956 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე პარტიის ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ, დაიგმო საბჭოეთის აღიარებული ბელადის კულტი და გამოცხადდა საზოგადოების ე. წ. „დემოკრატიული განვითარების კურსი“. ყრილობის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის, რო-

მელმაც იგი თავის შეურაცხყოფად აღიქვა და მას თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა. საბჭოთა ხელისუფლებამ დემონსტრანტების მიმართ გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინა და მათი გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

ტოტალიტარულ საბჭოეთში მოქცეული საქართველოს ლიტერატურულ ტექსტებში, ბუნებრივია, ასახვას ვერ ჰპოვებდა ქართველი ხალხისთვის მტკივნეული მრავალი საკითხი. ერთ-ერთი ასეთი ტაბუირებულ თემათაგანი სწორედ 1956 წლის 9 მარტს საქართველოში დატრიალებული ავბედითი მოვლენებიც იყო. „9 მარტი, ისევე როგორც საქართველოს გასაბჭოებით დაწყებული მთელი ციკლი, სწორედ ისეთი ტრავმებია, რომელთა ვერბალიზაცია, შეფასება, გააზრება თანადროულ ქართულ კოლექტიურ სივრცეში არ მომხდარა, რამდენადაც ამას არ დაუშვებდა სწორედ ის საბჭოური რეჟიმი, რომელიც ამგვარი ძალმომრეობის ფასად ამყარებდა და განამტკიცებდა თავის ძალაუფლებას. ცხადია, ეს ტრავმები ადეკვატურად არ ასახულა იმავე ძალის მიერ კონტროლირებად ოფიციალურ დისკურსში, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოების მიმართ ტრავმატულ ქმედებებზე. ტრავმული შთაბეჭდილებების გაზიარება და გაანალიზება ღიად არ ხდებოდა არც საზოგადოებრივ დისკურსში, რამდენადაც ისიც კონტროლდებოდა რეჟიმის მიერ. კონტროლი ვრცელდებოდა, ცხადია, ლიტერატურაზეც, რომელიც ისტორიულ ტრავმათა გამოსახვის ტრადიციული სივრცეა. შესაბამისად, ვერც თანადროული ლიტერატურული სინამდვილე ასრულებდა ტრავმის კოლექტიურ გამოცდილებად ტრანსფორმაციის ამოცანას. 1956 წლის 9 მარტზე გამოხმაურება, თუნდაც გამოუქვეყნებელი ტექსტების სახით, ქართულ ლიტერატურაში ფართოდ არ მომხდარა“ (წიფურია 2016: 189-190).

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან დაწყებული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერვისა და დამონებული რესპუბლიკების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კვალდაკვალ, როცა ტაბუირებულმა თემებმა ლიტერატურაშიც დაიწყეს ასახვა, 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმაც როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტურ ტექსტებში გადაინაცვლა. მართალია, 1973 წელს უკვე დაწერილი იყო ოთარ

ჩხეიძის რომანი, „გამოცხადებაი“, რომელშიც მხატვრულად აისახა 9 მარტის მოვლენები, მაგრამ მისი დაბეჭდვა შესაძლებელი მხოლოდ 1989 წელს გახდა. მალევე 1991 წელს პატარა ბროშურის სახით გამოიცა და გავრცელდა ნოდარ ნათაძის „სისხლიანი პარასკევი“, რომელიც წარმოადგენს მონაწილე და თვითმხილველი ავტორის მოგონებებს და ანალიზს ამ ტრაგიკული მოვლენებისა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის გათვითცნობიერებისათვის ოფიციალურად საგანგებოდ მიჩქმალულ ამ საკითხზე.

1956 წლის 9 მარტის მოვლენები ერთ-ერთი აქტუალიზებული თემაა ჩვენი საუკუნის ქართულ ნონფიქშენში, რომელიც, ლიტერატურათმცოდნეთა დაკვირვებით, თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციის გამომხატველია და რომლისადმი განსაკუთრებული ინტერესიც ისევე შეინიშნება ჩვენში, როგორც მთელ მსოფლიოში. ამ ტრაგედიის მომსწრე და თვითმხილველი ქართველი ავტორების ტექსტებში მოცემულია მათ მეხსიერებას შემორჩენილი მოვლენებისა და ფაქტების ნარატივი და მათზე რეფლექსირება, რისი განხილვის ცდაც არის წარმოდგენილი მოხსენება.

გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2018 წელს გამოსცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და მთარგმნელის მედეა ზაალიშვილის წიგნი „ცაში გამოკიდული სახლი“. ავტობიოგრაფიული ხასიათის ამ ტექსტში სხვა ეპოქალურ მოვლენებთან ერთად მცირე ადგილი 9 მარტის ეპიზოდსაც უჭირავს. ავტორი მოგვითხრობს:

„50-იან წლებში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები „საბჭოთა იდეოლოგიას“. მაშინ ახალგაზრდა თაობის უმეტესობას ბრმად სწამდა, რომ დიდი ბელადი, „ფოლადის კაცი“ მათ კეთილდღეობას იცავდა. იმ ცრუიდეოლოგიას უამრავი სტუდენტი და სკოლის მოსწავლე შეეწირა სისხლიან 1956 წელს. ეს იყო საზარელი 9 მარტი, როცა ხის ჯოხებით შეიარაღებული ახალგაზრდები ცდილობდნენ დიდი ბელადის სახელის დაცვას და ისინი ტყვიების წვიმის ქვეშ მოჰყვნენ, ზოგი მათგანი რუსულ ხიმტზეც კი ააგეს და წყალში ჩააგდეს. ვაკის სასაფლაოზე ნახავთ 15-16 წლის ბავშვების საფლავებს წარწერით: „დაიღუპა 9 მარტს, 1956“ (ზაალიშვილი 2018: 97-98).

2016 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ მწერლის, ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის კობა იმედაშვილის წიგნის „ჩემი საუკუნე“ წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ იგი თავისის შთამომავლებისა და მათი თანატოლებისათვის დაწერა, რათა მათ იცოდნენ თუ იმ გაუსაძლის დროში როგორ გადაირჩინეს თავის ქართველებმა და „როგორ გადაარჩინეს ის ღვთიური ქვეყანა, რასაც საქართველო ჰქვია და რომელსაც ახლა მათ უნდა უპატრონონ“ (იმედაშვილი 2016: 4).

აი, როგორ იხსენებს ავტორი მარტის იმ საბედისწერო დღეებს:

„მამინ მე ი. ბ. სტალინის სახლობის უნივერსიტეტის (რომელსაც შემდეგ სახელს შეუცვლიან და ივანე ჯავახიშვილის სახლობის უნივერსიტეტი გახდება) მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ჩვენთან ჯგუფში სწავლობდა კაგებეს მაღალი ჩინოსნის ქალიშვილი (ეს მხოლოდ იმ დღეს გავიგეთ) და მან მამამისის დანაბარები გადმოგვცა: „სახლში იჯექით. მთავრობის სახლის ეზო სავსეა სასწრაფოს მანქანებით. იქ დიდძალი სახვევი მასალა შეიტანეს“.

„რა დაგიმალთ და ამ გაფრთხილებისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, მით უფრო, რომ არც ვაპირებდით სანაპიროზე გასვლას, სადაც სტალინის ძეგლთან ზომიერებას გადასული ემოციების გამოვლენა გვაღიზიანებდა. იქ მუდმივად ისტერიულად ადიდებდნენ სტალინს, ისმოდა ნონეშვილის ემოციური ლექსი „მამავ ძვირფასო“, შემდეგ თვითონაც გამოვიდა იგი იქ, სტალინის ძეგლთან ამ ლექსის კითხვით. ირონიას იწვევდა გორიდან ჩამოსული მსახიობების (ლენინისა და სტალინის გრიმით) ქუჩაში ღია მანქანით გრიალი და ხალხის მოთხოვნით ერთმანეთის გაუთავებელი კოცნა იმის სათქმელად, რომ სტალინის დაცვით ლენინის საქმესაც იცავდნენ. გამაღიზიანებელი იყო საბარგო მანქანაზე ორი უწყინარი ინვალიდის, ცნობილი კიკას, და კიდევ ვიღაც მეორე ავადმყოფის ჩამოტარება ხრუმჩოვსა და კასტროზე მინიშნებით. კიკა მართლა ჰგავდა ხრუმჩოვს“ (იმედაშვილი 2016: 210).

მოვლენების ნარატივთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორის რეფლექსირება:

„სტალინის გამო, რომელიც უკვე ვიცოდით, რაც იყო, ამ ამბავში მონაწილეობის სურვილი ნამდვილად არა გვქონდა. მხოლოდ შემდეგ გავიაზრეთ სრულად, რომ **სტალინის შეურაცხყოფაზე**

მეტად ეროვნული ღირსების შელახვა ვერ აიტანა ქართველმა ხალხმა, ხრუმწოვი სტალინს ხომ როგორც ქართველს, ისე ებრძოდა“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – მ. ც.), (იმედაშვილი 2016: 210).

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იმ საბედისწერო ღამის ეპიზოდებზე, რომელსაც თავად შეესწრო ქალაქის ქუჩებში, რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ის მეგობრებთან ერთად გავიდა მას შემდეგ, რაც გაიგო, ქალაქში ისვრიანო.

„კომუნისტებმა ჭირისუფლებს მიცვალებულთა დატირებაც კი აუკრძალეს, მასობრივი სახალხო გამოსვლების შეეშინდათ, ჩუმი დააკრძალვინეს დახოცილები, რომ მიცვალებულთა რაოდენობა არ გვეცოდნოდა და საჯაროდ არ გვეგლოვა“ (იმედაშვილი 2016: 212).

ავტორის დასკვნით:

„საქართველო კიდევ ერთხელ დაისაჯა.

ჯერ სტალინმა და ორჯონიკიძემ გადაუარეს საქართველოს, მერე ბერია, მერე ხრუმწოვი“ (იმედაშვილი 2016: 212).

წიგნის მნიშვნელობას ისტორიული სიმართლის დადგენის თვალსაზრისით ზრდის ის ფაქტი, რომ მასში ჩართულია არასრული სია იმ ახალგაზრდებისა (სულ 26 პირის), რომლებიც დაიხვრიტნენ ხრუმწოვის განკარგულებით მოწამლული ტყვიით 1956 წლის 9 მარტს და მათი ბიოგრაფიული ცნობები. იგი ავტორს მიაწოდა ერთ-ერთი დაღუპულის, 16 წლის თენგიზ შანიძის აღმზრდელმა დედამ – ნინო კანდელაკი-შანიძის ამ იმ საშინელი ღამის აღწერასთან ერთად, როცა ის სასოწარკვეთილი დაეძებდა თავის შვილს. ეს სია და ცნობები პირველად 1990 წელს სახალხო ფრონტის მცირეფორმატიანი თვითგამოცემის ჟურნალში „კვალი“ დაიბეჭდა.

2018 წელს გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემულ წიგნში აშშ-ში მოღვაწე, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოსოფიის დოქტორის დოდონა კიზირიას მოგონებებში 1956 წლის 9 მარტის მოვლენების გახსენებას ასევე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ტექსტებისგან განსხვავებით ავტორი, რომელიც იმ დროისათვის მეთერთმეტე კლასელი გოგონა იყო, ამ მოვლენებს დიდი ექსპრესიითა და ხატოვანებით აღწერს. წინა ტექსტებთან შედარებით ის უფრო ვრცელია და მასში ნარატივთან ერთად ავტორის უაღრესად საინტერესო რეფლექსიებია დაფიქსირებული.

„როცა ჩემს განვლილ ცხოვრებას წარმოვიდგენ არა როგორც წელთა რიგს, არამედ როგორც სივრცეს, წარსულიდან აწმყომდე მომავალ გზას, იგი რამდენიმე ღრმა, ძალიან ღრმა ნაპრალობით არის დასერილი. ამ ნაპრალებზე ბეწვის ხიდით ვარ გადმოსული და ზოგჯერ მართლა სასწაულოთ გადარჩენილი, როგორც ფსიქიურად, ასევე ფიზიკურადაც. სულ პირველი ნაპრალი სწორედ იმ წელს გადმოვლახე, რამაც თითქმის გეოლოგიური მასშტაბის ნგრევა-გადატრიალება მოახდინა ჩემში. დარწმუნებული ვარ, ბევრ სხვა ჩემი თაობის ადამიანშიც, ვინც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა“ (კიზირია 2018: 52-53).

ნ. ხრუმჭოვის მიერ პარტიის ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას მემუარისტი აღწერს, როგორც ყოფლისმომცველ შოკს – „ეს იყო ცის ჩამონგრევა, ვეზუვის ამოფრქვევა, ბიბლიური წარღვნა...“ (კიზირია 2018: 54).

„თურმე იოსებ ბესარიონის ძეს მოუხდენია ძალაუფლების უზუპაცია, შეულახია წმიდათაწმიდა – კომუნისტური პარტიის დემოკრატიული სულისკვეთება, დაურღვევია ყოველგვარი სოციალური და მორალური კანონები“ „დღეს ყველამ თუ არა, უმეტესობამ მაინც იცის, რომ სტალინურ წმენდებში დაღუპულთა რიცხვმა სამ ათეულ მილიონს გადააჭარბა. მაგრამ ეს რამდენიმე წლის შემდგომ გახდა ცნობილი. მაშინ კი ეს ინფორმაციაც ისეთივე თავზარდამცემი იყო, როგორც, ვთქვათ ღრმად მორწმუნე ქრისტიანისთვის რომ გეთქვათ, იესო ქრისტე ერთი მაწანწალა ავანტიურისტი იყო. გამოდის სულ ტყუილად გვიმღერია „ჩვენო სტალინ, ჩვენო მხსნელო, ჩვენო დიდო მოამაგევ?!“ სულ ტყუილად ვიზეპირებდით ლექსებს ჩვენს სათაყვანო ბელადზე?!“ (კიზირია 2018:55)

მემუარისტი „პლანეტის შემაზანზარებელ მოვლენას“ უწოდებს ამ ფაქტს და იხსენებს, როგორ აღიქვეს ის მაშინდელ საქართველოში „ჩვენთვის მხოლოდ ერთი განმარტება ჰქონდა – ეს რუსების შეთქმულებაა ჩვენს წინააღმდეგ, მათ ყოველთვის შურდათ ჩვენი, ახლა უნდათ შური იძიონ სტალინზე, რადგან ქართველი იყო“ (კიზირია 2018: 55).

შემდეგ ავტორი გვიყვება იმ მოვლენების მიმდინარეობაზე, რაც მეტ-ნაკლებად ცნობილია სხვადასხვა წყაროებიდან და რასაც ზემოთაც შევეხეთ კ. იმედაშვილის წიგნიდან, ამიტომ ვფიქრობთ,

მეტი ყურადღება დაავთმოთ ავტორის რეფლექსიებს და მისი, როგორც თვითმხილველისა და მომსწრის შეფასებებს.

„თბილისი აზუზუნდა, აფორიაქდა, აგუგუნდა და ხუთ მარტს სტალინის ძეგლი უკვე თითქმის ნახევრამდე იყო დახუნძლული თაიგულებით, გვირგვინებითა და ტრანსპარანტებით. ორ დღეში მისი კვარცხლბეკი სულ დაიფარა ყვავილების ნიაღვარით. გარშემო დილიდან გვიან ღამემდე იდგა ხალხი, უმთავრესად სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. **ეს იყო კარნავალი ამ სიტყვის ბახტინისეული მნიშვნელობით. ყველაფერი თავდაყირა დადგა და ქცევის ყველა მიღებული კანონი დაირღვა. იყო რაღაც უჩვეულო, არასაბჭოთა თავისუფლების საზეიმო განცდა, რაღაც უცნაური აღტაცებისა და ამავე დროის გარდუვალი საფრთხის შეგრძნება. აი, მაგალითად, როცა სადმე ძალიან მაღალ პიტალო კლდის თავზე დგახარ და სული გეხუთება იმისგან თუ რა ახლოს ხარ ცასთან და გაჟრიალებს იმ საშინელი უფსკრულის წარმოდგენით, რომელიც შენს ფეხქვეშა ხახადაღებული“ (კიზირია 2018:59).**

„ჩემთვის იმდენად წარმოდგენელი იყო, საბჭოთა მთავრობას ბრძანება გაეცა ხალხისთვის ესროლათ, რომ ეს განგაში სერიოზულად არ მიმიღია. ჩემს წარმოდგენაში ასეთი რამ შეუძლებელი იყო. თუმცა რაღაც გუგუნის ხმა კი ისმოდა, მაგრამ **უსაშინლეს კომმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ტანკები გვიახლოვდებოდნენ**. ალბათ მილიციამ დაიწყო ხალხის გაყრამეთქი, ვიფიქრე“. „არა, ეს შეუძლებელია... ეს მომეჩვენა... **ეს ხომ ამერიკა არ არის... ეს საბჭოთა კავშირია... აქ ხალხს არ კლავენ“**... (კიზირია 2018:59).

„როგორ დამთავრდა ის დღე არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს შემდგომი დღეების რკინისებური სიმძიმე, ქალაქში გამეფებული სიჩუმე და დაბნეულობა. სკოლაში ვგრძნობდით, რომ ჩვენს მასწავლებლებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ სტალინის განუსაზღვრელ დამსახურებაზე, მის მსოფლიო მნიშვნელობაზე გველაპარაკებოდნენ, არაფერი ჰქონდათ სათქმელი და არც არაფერს ვეკითხებოდით. ისინიც ცდილობდნენ არ შეხებოდნენ ამ პირდაღებულ ჭრილობას, არც გვტუქსავდნენ და არც ჩვენ გვეკითხებოდნენ რამეს. თითქოს ინტუიციით ორმხრივად ტაბუ დავადეთ ამ თემას“ (კიზირია 2018: 59-60).

დ. კიზირია იხსენებს 16 წლის კიაზო ჭანტურიძის დედის სონია მერაბიშვილის (ის მათი ოჯახის ნაცნობი – დედამისის თანამშრომელი იყო) სასოწარკვეთას და გლოვას შვილის დაღუპვის გამო და ერთ საინტერესო დეტალს კიაზოს საფლავის ქვის წარწერის შესახებ.

„შობლებს საფლავის ქვაზე კიაზოს ნამდვილი გვარის ამოკვეთაც კი აუკრძალეს და ჭანტურიძის მაგივრად ჭანტურია დააწერინეს (ამჟამად საფლავის ქვაზე კვლავ „ჭანტურიძეა“ მიწერილი – მ. ც.). **ალბათ იმიტომ, რომ ვერავის ეცნო, ვინ იყო იქ დასაფლავებული და მისი გარდაცვალება 9 მარტის ტრაგედიასთან არ დაკავშირებინა“** (კიზირია 2018: 69-70).

მემუარისტი განაგრძობს: **„იმ დღეებში ჩემთვის ჩამოინგრა და ჩამოილეწა მთელი მსოფლიო, გაცამტვერდა ფასეულობათა სისტემა, რომელზედაც გავიზარდე და რომლისაც მწამდა.** ფანატკური კომკავშირელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ შესაძლოა ან ძალიან ბრიყვი ვიყავი, ან ძალიან ადვილად მანიპულირებადი, რადგან საბჭოთა იდეების რაღაც საერთო მონახაზები სიმართლედ მიმაჩნდა და მჯეროდა. ამიტომ ყველაზე მეტად მტანჯავდა ფიქრი – იცოდა თუ არა სტალინის მიერ ჩადენილი ბოროტების შესახებ უფროსმა თაობამ, ჩვენმა მასწავლებლებმა, ჩვენმა შობლებმა. ნებისმიერი პასუხი, დადებითი თუ უარყოფითი, ერთნაირად შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის. თუ იცოდნენ, მაშ უსინდისოდ გვატყუებდნენ – საბავშვო ბაღში, სკოლაში და სკოლის შემდგომაც. გვატყუებდა ყველა ჩვენს გარშემო თავიანთი მაღალფარდოვანი სიტყვებით, პარადებით, დროშების ფრიალით. თუ არ იცოდნენ, მაშინ რით არიან ისინი ჩემზე ჭკვიანები, გამჭრიახები, მცოდნეები!? ისინიც ისევე გაუბითურებიათ, როგორც ჩვენ ახალგაზრდები. მაშ, რატომ უნდა ვცემდე მე მათ პატივს, რატომ უნდა ვენდობოდე ან მჯეროდეს მათი!? ჩემი დედაც კი, ჩემი საყვარელი დედა, ასეთი პატივცემული და სამაგალითო პედაგოგი, ისიც კი, ან მატყუებდა, ან თვითონ იყო მოტყუებული!“ (კიზირია 2018:64-65).

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს სუიციდის მსვლელობაზე, რომელიც მას ჰქონდა იმ ტრაგიკულ დღეებში მიღებული უმძიმესი ტრავმის გამო – მან დიდი დოზით დალია წამალი და საავადმყოფოში მოხვდა, სადაც სამი დღე უგონოდ იწვა. საბედნიეროდ გადარჩა.

როგორც მემუარისტი გადმოგვცემს, შემდეგ ცხოვრება გაგრძელდა ისე, ვითომ არაფერი მომხდარიყოს. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში სასწავლებლად გადასვლამ და დისტანციურმა დაშორებამ ყველა იმ ადგილთან, სადაც მის სულიერ სამყაროში ასეთი გადატრიალება მოხდა, უმკურნალა კიდეც. **„მაგრამ მას მერე უკვე სრულიად სხვა „მე“ ვიყავი“** (კიზირია 2018: 69).

„9 მარტის ტრაგედიიდან ორიოდე წლის შემდეგ ნიკიტა სერგევიჩი საქართველოს ესტუმრა და მას ვაშათი და მხურვალე, ოვაციებში გარდამავალი ტაშით შეხვდა თბილისის ბრწყინვალე საზოგადოება – მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენცია და მადლიერი მოქალაქეები. ქუჩების გასწვრივ კი წითელყელსახვევიანი პიონერები ყვავილებს ესროდნენ მანქანების კორტეჟს. ერთ ღია მანქანაში თვით კომპარტიის გენერალური მდივანი იდგა და მოწყალედ თავს უქნევდა სიხარულით აღსავსე მასპინძლებს“ (კიზირია 2018: 61-70).

ჩვენს მიერ საანალიზო მასალად შერჩეული ბოლო წლებში გამოცემული ავტორების ტექსტებიდან, რომლებიც დოკუმენტური პროზის ნიმუშებს, ძირითადად მოგონებებს წარმოადგენენ, შევხებით 1956 წლის 9 მარტის მოვლენების ნარატივს და ყურადღება უმეტესწილად გავამახვილეთ ავტორთა რეფლექსიებზე. ეს ტექსტები თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნონფიქშენური ნაკადია და მხატვრულ ტექსტებთან ერთიანობაში იძლევა მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცლის საერთო სურათს.

დამოწმებანი:

ზაალიშვილი 2018: ზაალიშვილი მ. *ცაში გამოკიდული სახლი*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018.

იმედაშვილი 2016: იმედაშვილი კ. *ჩემი საუკუნე*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016.

კიზირია 2018: კიზირია დ. *მოგონებები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018.

ნათაძე 1991: ნათაძე ნ. *სისხლიანი პარასკევი*. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „ორნატი“, 1991.

ჩხეიძე 1989: ჩხეიძე ო. *გამოცხადებაი = Apokalypsis..* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

წიფურია 2016: წიფურია ბ. „გამოცხადებაი: 9 მარტის ტრავმა და სტალინური ნარატივის დასასრული საქართველოში“. წიგნში *ქართული ტექსტი საბჭოთა (პოსტსაბჭოთა) პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

Zoia Tskhadaia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Two Shores, Two Truths

(on Georgia’s tragic events of the 1990s in Georgian and Abkhazian literary narrative)

Political events of the 1990s remain relevant to this day. They are reflected in the short-stories by Georgian writer Zviad Kvaratskhelia and in the novel „The Shore of the Night“ by Abkhazian writer Daur Nachkebia.

Zviad Kvaratskhelia’s stories represent an artistic interpretation of historical chronicles with real pictures: the capital of Georgia divided into two camps, animosity between citizens provoked by the „elder brother of the same faith“.

The issue of the Abkhazian war in Daur Nachkebia’s novel spill from the mouth of a lyrical hero the bearer of national consciousness and worldview.

It is clearly seen that the literature, despite the extreme situation, still manages to cover the events objectively and at the same time, the readers have an opportunity to see future coordination.

Key words: Daur Nachkebia, Zviad Kvaratskhelia, historical chronicles, protest.